

2023

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი:

1.	ზოგადი ინფორმაცია	7
2.	მომზადების საფუძველი.....	7
3.	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
5.	წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	14
6.	ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	16
7.	გაცემული სესხები	17
8.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
9.	ფული და ფულის ეკვივალენტები	18
10.	საწესდებო კაპიტალი.....	19
11.	მიღებული სესხები.....	19
12.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	20
13.	შემოსავალი	20
14.	სხვა შემოსავალი	20
15.	სხვა საოპერაციო ხარჯი.....	20
16.	საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	21
17.	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა.....	21
18.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
19.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22

შპს არკო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022 *გადაანგარიშებული, (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი, 2021 *გადაანგარიშებული, (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,964	4,368
საინვესტიციო ქონება	6	307	327
გაცემული სესხები	7	473	251
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,744	4,946	5,267
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	494	404
მარაგები	-	-	12
ფული და ფულის ექვივალენტები	9	97	14
სულ მიმდინარე აქტივები	591	410	379
სულ აქტივები	5,335	5,356	5,646
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	4,489	4,826
გაუნაწილებელი მოგება		503	178
სულ კაპიტალი	4,992	5,004	4,976
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	161	254
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	161	254	533
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	182	98
სულ მიმდინარე ვალდებულებები	182	98	137
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,335	5,356	5,646

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 მარტს:

გიორგი სანოძე
დირექტორი

თინათინ ყიფიანი
ფინანსური დირექტორი

შპს არკო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარებით

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 *გადაანგარიშებული, (არააუდიტირებული)
შემოსავალი	13	2,794	2,571
სხვა შემოსავალი	14	547	490
სულ შემოსავალი		3,341	3,061
შრომის ანაზღაურება		(1,791)	(1,444)
ელექტროენერგიის ხარჯი		(493)	(511)
ცვეთა და ამორტიზაცია		(354)	(398)
რემონტის ხარჯი		(159)	(102)
დაცვის ხარჯი		(4)	(14)
საგადასახადო ხარჯი		(49)	(49)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		(46)	(51)
სამეურნეო ხარჯები		(74)	(114)
დაზღვევის ხარჯი		(37)	(44)
სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(71)	(322)
საოპერაციო მოგება		263	12
საპროცენტო შემოსავალი		30	12
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	16	(223)	(52)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		3	67
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	17	252	-
ფინანსური ხარჯი		-	(11)
მოგება დაბეგვრამდე		325	28
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		325	28
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		325	28

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 მარტს:

გიორგი სანოძე
დირექტორი

თინათინ ყიფიანი
ფინანსური დირექტორი

შპს არკო

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება *გადაანგარიშებული	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	4,826	150	4,976
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	28	28
31 დეკემბერი 2022	4,826	178	5,004
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	325	325
კაპიტალის შემცირება	(337)	-	(337)
31 დეკემბერი 2023	4,489	503	4,992

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 მარტს:

გიორგი სანოძე
დირექტორი

თინათინ ყიფიანი
ფინანსური დირექტორი

შპს არკო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
			*გადაანგარიშებული, (არააუდიტირებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		4,098	3,929
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(1,565)	(1,707)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(1,764)	(1,507)
გადახდილი გადასახადი		(373)	(239)
ბანკის საკომისიო გადასახადი		(5)	(18)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		391	458
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(16)	(47)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7	87	-
სესხის გაცემა		(178)	(108)
მიღებული პროცენტები		2	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(105)	(155)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შემცირება	10	(337)	-
სესხის მიღება	11	161	179
გადახდილი პროცენტი	11	-	(11)
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	11	-	(457)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(176)	(289)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		110	14
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	16	(19)	(22)
ფულადი სახსრები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	9	6	14
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის	9	97	6

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 მარტს:

გიორგი სანოძე
დირექტორი

თინათინ ყიფიანი
ფინანსური დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

„არკო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 5 აგვისტოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. 8, თბილისი, საქართველო. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 202276517.

შპს არკოს საქმიანობას წარმოადგენს თბილისში, კომპანიის საკუთრებაში არსებული სამაცივრე და სასაწყობე კომპლექსის მომსახურების გაწევა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები არიან ნინო გორდელაძე 35%, კატო ლეილა კაჭარავა 30%, ელენე კაჭარავა 35%.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ლევან კაჭარავა.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია გიორგი სანოძე.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით თუ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.6894	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.9753	2.8844	3.5040

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენახზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადგეგმვა ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

	არაგვეთადი
მიწა	15-25
შენობა-ნაგებობები	5-25
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზეზს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

მენეჯმენტის შეფასებით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არ შეიძლება შეფასდეს საიმედოდ, მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე მუდმივად, ამიტომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით. კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას საინვესტიციო ქონებასა და ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

შენობა-ნაგებობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 25 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება. საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავალი - საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი. საინვესტიციო ქონების გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოღება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის დანახარჯი გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

დაბეგრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების

მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული.

აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება ადგილობრივ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პირს ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს - 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს

მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისგან.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	4,498	(130)	4,368
გაცემული სესხები	210	41	251
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	733	(329)	404
მარაგები	33	(33)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	(4)	6
გაუნაწილებელი მოგება	514	(336)	178
მიღებული სესხები	270	(16)	254
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	201	(103)	98

2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	5,067	(295)	4,772
გაცემული სესხები	154	(7)	147
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	400	(47)	353
მარაგები	43	(31)	12
გაუნაწილებელი მოგება	323	(173)	150
გადაფასების რეზერვი	104	(104)	-
მიღებული სესხები	545	(12)	533
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	228	(91)	137

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	3,680	(1,109)	2,571
სხვა შემოსავალი	-	490	490
შრომის ანაზღაურება	(1,445)	1	(1,444)
ცვეთა და ამორტიზაცია	(388)	(10)	(398)
რემონტის ხარჯი	(90)	(12)	(102)
დაცვის ხარჯი	(28)	14	(14)
საგადასახადო ხარჯი	-	(49)	(49)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(116)	65	(51)
ტრანსპორტირების ხარჯი	(359)	359	-
სამეურნეო ხარჯები	(51)	(63)	(114)
დაზღვევის ხარჯი	(3)	(41)	(44)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(307)	(15)	(322)
საპროცენტო შემოსავალი	(85)	97	12
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	-	(52)	(52)
ფინანსური ხარჯი	-	(11)	(11)

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	473	(15)	458
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	-	(155)	(155)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(428)	139	(289)

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

კომპანიის ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საწარმოო დანადგარები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობა- ნაგებობები	საინვესტიციო ქონება
ისტორიული ღირებულება										
31 დეკემბერი, 2022	488	4,314	1,950	275	134	23	7,184	20	531	551
შემოსვლა	-	-	33	-	11	-	44	-	-	-
გასვლა	-	-	-	(112)	-	-	(112)	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	488	4,314	1,983	163	145	23	7,116	20	531	551
შემოსვლა	-	-	6	-	6	-	12	-	2	2
გასვლა	-	-	-	(107)	-	-	(107)	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	488	4,314	1,989	56	151	23	7,021	20	533	553
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია										
31 დეკემბერი, 2021	-	(1,353)	(905)	(48)	(97)	(8)	(2,411)	-	(203)	(203)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(184)	(128)	(53)	(11)	(1)	(377)	-	(21)	(21)
ცვეთის ელიმინაცია გასვლის შედეგად	-	-	-	41	-	-	41	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	-	(1,537)	(1,033)	(60)	(108)	(9)	(2,747)	-	(224)	(224)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(183)	(132)	(6)	(11)	(1)	(333)	-	(22)	(22)
ცვეთის ელიმინაცია გასვლის შედეგად	-	-	-	23	-	-	23	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	-	(1,720)	(1,165)	(43)	(119)	(10)	(3,057)	-	(246)	(246)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი, 2021	488	2,961	1,045	227	37	15	4,773	20	328	348
31 დეკემბერი, 2022	488	2,777	950	103	37	14	4,369	20	307	327
31 დეკემბერი, 2023	488	2,594	824	13	32	13	3,964	20	287	307

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებაა 151 ათასი ლარი.

ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული:							
შპს არ-ეფ-ჯი ექსპრეს (404437775)	6.3%	ევრო	27/10/22	27/10/25	27	23	-
შპს არ-ეფ-ჯი ექსპრეს (404437775)	15%	ლარი	01/11/22	01/11/25	18	15	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	10%	აშშ დოლარი	11/02/20	01/02/25	153	142	147
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	15%	ლარი	15/11/22	15/11/25	19	15	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	15%	ლარი	05/09/23	05/09/26	31	-	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	30/11/22	30/11/27	30	28	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	27/12/22	27/12/27	30	28	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	30/01/23	30/01/28	30	-	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	01/03/23	01/03/28	30	-	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	28/03/23	28/03/28	31	-	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	18/04/23	18/04/28	43	-	-
შპს ჯორჯიან ფიტნეს გრუპი (405133403)	6.3%	ევრო	28/04/23	28/04/28	31	-	-
სულ გაცემული სესხები					473	251	147
სესხის ძირი					408	216	124
მისაღები პროცენტი					65	35	23

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

კომპანიის გაცემულ სესხებში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	251	147
სესხის გაცემა	178	108
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	30	11
საკურსო სხვაობის ეფექტი	14	(15)
31 დეკემბრის მდგომარეობით	473	251

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მოთხოვნები ადგილობრივ კლიენტებთან	545	419	259
სავაჭრო მოთხოვნები უცხოურ კლიენტებთან	123	203	108
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	56	12	41
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(230)	(230)	(55)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	494	404	353

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი :

	2023	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	(230)	(55)	(55)
რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	-	(175)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	(230)	(230)	(55)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	13
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	24	5	1
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	73	1	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	97	6	14

საბანკო ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც არა რისკიანი.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შესაძლებელია შეჯამდეს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Fitch Ratings-ის მიერ განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგების შესაბამისად. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საფინანსო დაწესებულებაში რეიტინგით “BB”.

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის შემცირება 536 ათასი ლარის ოდენობით და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,290 ათას ლარს. 2022, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 4,826 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულად იყო შეტანილი კომპანიის კაპიტალში 31.12.2021-მდე.

2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია დივიდენდი.

11. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
დაკავშირებული მხარეებისგან:							
ნინო გორდელაძე	7%	აშშ დოლარი	25/12/23	25/03/24	161	-	-
შპს ტოპთრეიდი	10%	ლარი	02/08/2021	02/8/2023	-	-	100
მალტიპლექს პეტროლია ლოგისტიკს სოლუშენს ბ.ვ.	4%	ლარი	31/12/2020	31/12/2025	-	254	433
სულ მიღებული სესხები					161	254	533
სესხის ძირი					161	254	533

კომპანიის მიღებულ სესხებში შემდეგი ცვლილებები განხორცილდა 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	254	533
სესხის ვალდებულების ჩამოწერა	(254)	-
სესხის მიღება	161	179
სესხის ძირის გადახდა	-	(457)
პროცენტის დარიცხვა	-	11
პროცენტის გადახდა	-	(11)
საკუროსო სხვაობის ეფექტი	-	(1)
31 დეკემბრის მდგომარეობით	161	254

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	47	47	72
ნეტო საგადასახადო დავალიანება	116	40	55
მიღებული ავანსები	3	2	5
სახელფასო ვალდებულება	16	9	5
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	182	98	137

ნეტო საგადასახადო დავალიანება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი არსებითად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულებისგან.

13. შემოსავალი

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი 2023 და 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი სასაწყობო მომსახურებიდან	1,970	1,921
შემოსავალი დაცლა-დატვირთვის მომსახურებიდან	616	475
სხვა საოპერაციო შემოსავალი	208	175
სულ შემოსავალი	2,794	2,571

14. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ფართის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 2023 წლის განმავლობაში 547 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2022-ში 490 ათასი ლარის ოდენობით.

15. სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯი 2023, 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საწვავის ხარჯი	25	33
საოფისე ხარჯი	19	22
პალეტის შესაფუთი პარკების ხარჯი	18	22
ბანკის საკომისიო	2	2
სავაჭრო მოთხოვნებისა და გაცემული ავანსების გაუფასურების ხარჯი	-	184
საპროექტო მომსახურება	-	48
სხვა ხარჯი	7	11
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	71	322

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

16. საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა

საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა 2023 და 2022 წლებისთვის შეადგენს:

	2023	2022
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება	44	6
ფული და ფულის ეკვივალენტები	2	2
სასესხო ვალდებულებიდან	-	1
გაცემული სესხი	35	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(68)	(58)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(21)	(24)
გაცემული სესხი	(21)	(17)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(10)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(16)	(17)
სულ საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(24)	(52)

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
სასესხო ვალდებულების ჩამოწერა	254	-
სხვა ხარჯი	(2)	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	252	-

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხრილებში:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მოთხოვნა	18	8	6
სხვა დაკავშირებული მხარე	18	8	6
სავაჭრო ვალდებულება	-	-	16
სხვა დაკავშირებული მხარე	-	-	16
მიღებული სესხები	161	254	533
საერთო მფლობელი	-	254	433
მეწილე	161	-	-
სხვა დაკავშირებული მხარე	-	-	100
გაცემული სესხები	473	252	147
საერთო მფლობელი	473	252	147

შპს არკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2023	2022
ამონაგები	111	63
სხვა დაკავშირებული მხარე	111	63

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ 2023 წელს შეადგინა 166 ათასი ლარი, 2022-ში 147 ათასი ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 22 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- საწესდებო კაპიტალის შემცირება 120 ათასი ლარით
- მიღებული სესხის ძირის დაფარვა 90 ათასი ლარი

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახავს.